საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი **29 დეკემბერი, 2011 წელი**

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 97

სახელმძღვანელოების ცნობისა და აღიარების წესის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის „რ“ ქვეპუნქტისა და ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის საფუძველზე

აკადემიურმა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სახელმძღვანელოების ცნობისა და აღიარების წესი, თანახმად დანართისა.

2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **ე. მესხია**

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს
2011 წლის 29 დეკემბრის № 97 დადგენილების

დანართი

სახელმძღვანელოების ცნობისა და აღიარების წესი

1. ნაშრომის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოდ აღიარებამდე, იგი ამ თვალსაზრისით უნდა შეფასდეს კვალიფიციური სპეციალისტების მიერ სათანადო რეცენზიებით.

2. საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო აგებული უნდა იყოს სასწავლო დისციპლინაში შემუშავებული, მეთოდურად და მეცნიერულად გამართული სილაბუსის მიხედვით, რომელიც, თავის მხრივ, უნდა იყოს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის (კურიკულუმის) ორგანული შემადგენელი ნაწილი.

3. სახელმძღვანელოს მეცნიერულ და მეთოდურ მხარეზე უნდა იმსჯელოს შესაბამისმა დეპარტამენტმა სპეციალურ სხდომაზე და სათანადო მოსაზრებები წარუდგინოს ფაკულტეტის საბჭოს.

4. აღიარებულ იქნას საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოდ ელექტრონული ვერსია, დაქსეროქსებული და აკინძული, ან ბეჭდური ნაშრომი, რომლის მეცნიერულ და მეთოდურ მხარეზე იმსჯელებს შესაბამისი დეპარტამენტი და სათანდაო მოსაზრებებს წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს.

5. ფაკულტეტის საბჭო, ზემოაღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით, თავის დასკვნას წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს ნაშრომის სახელმძღვანელოდ აღიარებისათვის საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

6. ზემოაღნიშნული მოთხოვნები ეხება უცხოურიდან თარგმნილი ნაშრომის სახელმძღვანელოდ ცნობასა და აღიარებასაც და იმ უცხოურ სახელმძღვანელოებსაც, რომლებიც თარგმნილი არაა, მაგრამ შეიძლება მათი სახელმძღვანელოდ აღიარება;